ქურთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №13

2025 წლის 22 დეკემბერი

ქ. თბილისი

„ქურთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქურთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ივლისის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქურთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ქურთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქურთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ივლისის №16 დადგენილებით (www.matsne.gov.ge; 20/07/2017; 010320010.35.146.016136) დამტკიცებული დანართი №1 შეიცვალოს ახალი დანართი №1-ით.

მუხლი 2

ეს დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.

ქურთას მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით თუთარაშვილი**

დანართი №1

ქურთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების, საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხა

№	თანამდებობა	საშტატო რიცხოვნობა		თანამდებობრივი სარგო
1	პოლიტიკური თანამდებობის პირი – საკრებულოს თავმჯდომარე	1		5126
2	პოლიტიკური თანამდებობის პირი – საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1		3531
3	პოლიტიკური თანამდებობის პირი – საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	2		2761
4	პოლიტიკური თანამდებობის პირი – საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5		2761
5	ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – საკრებულოს აპარატის უფროსი	1		2400

6	საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – განყოფილების უფროსი	1	II რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)	2240
7	საჯარო დაწესებულების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საფინანსო საკითხებში	1	III რანგი (უფროსი სპეციალისტის დონე)	1920
8	საჯარო დაწესებულების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ჯანდაცვის და სოციალურ საკითხებში	1	III რანგი (უფროსი სპეციალისტის დონე)	1280
9	საჯარო დაწესებულების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში	1	III რანგი (უფროსი სპეციალისტის დონე)	1280
10	საჯარო დაწესებულების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში	1	III რანგი (უფროსი სპეციალისტის დონე)	1280
11	საჯარო დაწესებულების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმეთა მართვის საკითხებში	1	III რანგი (უფროსი სპეციალისტის დონე)	1280
12	საჯარო დაწესებულების პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი საქმეთა მართვის საკითხებში	1	IV რანგი (უმცროსი სპეციალისტის დონე)	1120
13	საჯარო დაწესებულების პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ადამიანის უფლებათა დაცვისა და დასაქმების საკითხებში	1	IV რანგი (უმცროსი სპეციალისტის დონე)	1120
14	საჯარო დაწესებულების პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობასა და საინფორმაციო საკითხებში	1	IV რანგი (უმცროსი სპეციალისტის დონე)	1120
15	საჯარო დაწესებულების პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში	1	IV რანგი (უმცროსი სპეციალისტის დონე)	1120